სახალხო გაზეთი

№ 1038 პარასკევი, 8 ნოემბერი 1913 წ. № 038

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ჰ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სრულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.

ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

4 ნოემბერს, დილის 9 საათზე, გარდაიცვალა ს. **არბოში** (გორის მაზრა),

ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი მარი მოსეს ასული, შვილნი: ლევანი და ნესტორი ანტონის ძენი ფურცელაძენი და ქალი მისი ეკატე ანტონის ასული ქარციევაძისა. პანაშვიდები ყოველ-დღე იქნება გადახდილი ს. არბოში. ცხედარს გაასვენებენ არბოდან 9 ნოემბერს. წირვის გადახდის შემდეგ საგვარეულო სოფელში მერეთში, სადაც იმავე დღეს მოხდება დაკრძალვა. 778

ზურაბ გიორგის ძის

აბდუშელიშვილის

განსვენების **ორმოცი** დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 10 ნოემბერს, სოფ. შალაურში (იმერეთი), რასაც აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები და ძმები. 788

ილია, კონსტანტინე და ალექსანდრე იოსების ძენი გაბაშვილები თავიანთ მეუღლეებით, სოფიო იოსების ასული სარაჯიშვილისა, თამარ იოსების ასული მელიქიშვილისა და ელენე იოსების ასული ტატიშვილისა თავიანთ ქმრებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი ძმის

დავით იოსების ძე გაბაშვილისას

პანაშვიდი პარასკევს, 8 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე ბინაზე, ოლღას ქუჩა, 34. ცხედრის გამოსვენება შაბათს, 9 ნოემბერს, დილის 10 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე მოხდება. 50

ელენე ზაალის ასული გაბაშვილისა შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ, რომ 6 ნოემბერს გარდაიცვალა პირველის ქმარი და მეორეთა მამა მე-16 დრაგუნთა ტვერის მემკვიდრე ცესარევიჩის პოლკის სამსახურს გარეშე მყოფი როტმისტრი

დავით იოსების ძე გაბაშვილი

პანაშვიდი ბინაზე პარასკევს, 8 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, ოლღას ქუჩა № 34. შაბათს, 9 ნოემბერს დილის 10 საათზე მიცვალებულს გაასვენებენ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში და იქვე მიაბარებენ მიწას. 50

ქართული თეატრი

სამშაბათს, 12 ნოემბერს

დავ. კლდიაშვილი

გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო

საღამოს

I

ა. ჯანელიძე

წაიკითხავს ლექციას

„ეროვნული შემოქმედება“

II

დ. კლდიაშვილი (მოთხრობა).
ჯ. ჯორჯიკია (მინიატურები).
ი. გრიშაშვილი (ლექსები).
დ. აკოფაშვილი (სიმღერა).

III

ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: **დავ. კლდიაშვილისავე**

დარისპანის გასაჭირი

სურათი 1 მოქმედებად.

მონაწილეობენ: ბ-ნნი ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ა. შოთაძე და ა. ასათიანი. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** ადგილების ფასი **ჩვეულებრივი.** ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. 1521



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 8 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

მე-19 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.** დღეს ჭიდაობენ: ვან სამბატიე და ზანგი ტომ სიეირი, მაისურაძე და ივ. კინი, ლუკა კოპიცკი და ზალევსკი, ლუხაბურა და სპენიკი.

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

790

რ. ა. პორტუგალოვისა

აუწყებს, რომ საფეიქრო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ქუჩა № 23—24,

მიიღეს ახალი საქონელი.

[illegible] იაფ ფასებში. იყიდება საფეიქრო [illegible] 20% დაკლებით. [illegible] მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დამზადებული ტანისამოსისა. დიდი წყება [illegible] **ქალებისთვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცის „კოსტიუმები“ და ქალების კაბები და კოფთები ცალ. ცალკე.**

1491 პატივისცემით [illegible] **პორტუგალოვისა.**

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ПРОФ. Н. МАРРЪ:

Житье св. Григорія Хандзійскаго —3 მ.
Древнегрузинскіе одописцы — —3 მ. —
Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ 1 მ. 25 კ.
Антіохъ Стратигъ, плѣненіе Іерусалима персами въ 614 г. — — —2 მ.
Критика и мелкія статьи кн. V —75 კ.
Физіологъ. Армяно-грузинскій изводъ — — — —2 მ.
Основныя таблицы къ грамматикѣ древне грузин. языка — — —5 მ.
Кавкзьи памяти. духов. культуры 20 კ.
Исторія грузіи (культ. истор набросокъ) — — — —25 კ.
Изъ поѣздокъ въ Сванію — — —30 კ.
Изъ лингвистическ. поѣздки въ Абхазію — — — —50 კ.
Къ вопросу о задачахъ армяно-вѣд. 5 კ.
Ефремъ Сиринъ. О дняхъ празд рождества, объ основ. перв церквей въ Іерусалимѣ —75 კ.
Іос. Аримаѳейскій Сказаніе о построеніи первой церкви въ г. Лиддѣ (груз текстъ) — — —1 მ.
Ипполитъ, толкованіе пѣсни пѣсней груз текстъ X вѣки — — —2 მ.

ახლად გამოსული წიგნები:

რუსეთის ახალ თაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები ნ. თავდგირიძისა — — —20 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა — —30 კ.
როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოვდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება ა. კახელიძისა — — —10 კ.
ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე) ალ. ხახანაშვილისა — — — —1 მ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

მოითხოვეთ ყველგან

ყოველკვირეული

ჟურნალი

წლიურად 3 მან. **ფასი 5 კაპ.**

საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

პარასკევს, 8 ნოემბერს,

მიმდინარე 1913 წელს, საზოგადოების სადგომში (გოგოლის ქუჩა 63), დილის **თერთმეტ საათზე, დანიშნულია**

საგანგებო კრება.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) **ინსტრუქცია ღვინის დაფასება მიღებისა,**
2) **წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლისა**
და 3) **შიდა ადმინისტრატიულ წესების მოგვარებისა.**

კრება კანონიერი იქნება, რამოდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს. 1549

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნერვებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჭრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა — **ჭლექი** და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.

ბებუთოვის ქ. სახ. 23. ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ჭყონიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ამბულატორიულ ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმი-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
კანისა სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორიმბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგი **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი სადასტურით. 1466

საზამთრო **ახალი კლუბი** თეატრი

შაბათს, 9 ნოემბერს,

საოჯახო საღამო

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილ იქნება 4 მოქმედებიანი კომედია:

ძალა აღმართსა ხნავს, თხზ. ვ. გუნიასი.

თეატრში შესვლა უფასოა დაწვრილებით აფიშებში. კლუბში შესავლელ ფასად სტუმრები იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ. და სტუდენტები 25 კ. დასაწყ.-სი საღამოს 8-ნახევარ საათზე. 1568

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 595.

ი. ს. გამრეკელი. ყოველ დღე, შინაგან. ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

[illegible]. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელის, ყურის და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი [illegible]—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

ექიმი **მღვდელი** ს. ა. ლეჟავა

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, **ტელ. 16—17.** 779

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა. სპეციალურად ფილტვისა და ნაწლევთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ., შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ელექ. და დამპალი ციება პარიზულ კლინიკ. პროფ. **Mathien.** **იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

ექიმი მეიფარიანი

იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ. **ქუთაისი,** ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30,

ტელეფონი № 150. 1855

ექიმი ვ. მ.-ძე მანსვეტაშვილი

გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშვების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., საღ. 6—8 ს. **ხემთანოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 1159

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

დოქტორი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

ქ. გორში

ექიმი (დოქტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

საბურთალოზე

მშვენიერ ადგილას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიღმის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა **№ 2,** ტელეფონი 15—27. 1502

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; შანკ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., **№ 94,** კიროჩნის ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3. სახ. [illegible].

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117, ტელეფონი 816.

ტფილისი, 8 ნოემბერი

ბეილისი და ბეილისები.

მთელი ქვეყნის ყურადღება იყო მიპყრობილი კიეველ ებრაელის ბეილისის საქმისადმი. დედამიწის ყოველ კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი გაზეთების თანამშრომლები და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს სასამართლოს სხდომებს. უთვალავი წერილი დაისტამბა ამ გასამართლების შესახებ, მრავალმა გამოჩენილმა მოღვაწემ, მეცნიერმა და მწერალმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ ცილსა სწამებდნენ ბეილისს კერძოდ და ებრაელებს საზოგადოთ, რომ ვითომც ისინი ქრისტიანების სისხლს ხმარობდნენ რაღაც სარწმუნოების მიზნისათვის.

ყველაზე მეტად აახმაურა ბეილისის საქმემ რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა. რუსულმა პრესამ ისარგებლა შემთხვევით და ფართო პროპაგანდა გასწია თანამედროვე წესწყობილების წინააღმდეგ, გამოაშკარავა ეხლანდელი მართლ-მსაჯულების სიყალბე და ძალ-მომრეობა, სამარცხვინო ბოძზე გააკრა მთავრობის მეგობარი და მარჯვენა ხელი შავ-რაზმელები. დღემდის არ შეწყვეტილა ეს მოძრაობა და არც ვიცით, რითი და როდის დამთავრდება.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, მეტად სასიამოვნო მოვლენაა, და ჩვენ ძლიერ გვახარებს რუსული მოწი-

ნავე აზრის ამგვარი გამოლაშქრება, დაცვა შელახული უფლებისა, დაჩაგრული პიროვნების აღდგენა და პატივისცემა ტანჯული ეროვნებისადმი. მაგრამ არ შეგვიძლია ძალაუნებურად არ მივაქციოთ ყურადღება ერთს გარემოებას: საზიზღრობაა ბეილისის და ებრაელების წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება, საშინელია ის ზნეობრივი და ქონებრივი სატანჯველი, რომელიც ყოვლად უსამართლოდ და უსაფუძვლოდ მიაყენეს ებრაელს ბეილისს, გამოსარჩლება მის სასარგებლოდ ყოველი ღირსეული ადამიანის მოვალეობაა, მაგრამ რუსეთში მარტო ერთია ბეილისი, მარტო ებრაელია ასე დევნილი და წამებული? ასე გაცხარებით და თავგამოდებით რომ გამოექომაგა რუსის მოწინავე საზოგადოება კიეველ ებრაელს, რატომ ამგვარსავე სიცხოველეს და სიძლიერეს არ იჩენს იგი, როდესაც ბეილისისებური საქმე თითქმის ყოველ დღე ხდება, როცა არა მარტო ებრაელია ასე განაწამები, და ებრაელთა ზედს განიცდიან სხვა არარუსის ერების შვილები? ნუ თუ ბეილისის საქმემ ხმა მაღლა იყვირა და ის გაიგონეს, ხოლო სხვები ჩუმად, უხმოდ განიცდიან სიმწუხარეს, ჩაგვრის, შევიწროვების, დევნის და ამიტომ მათ არავინ ხედავს, არავინ უსმენს, არავინ ექომაგება?

სამწუხარო ამბავი ეს დიდად და აშკარად ღაღადებს იმას, რომ ადამიანობისადმი და ეროვნებისადმი პატივისცემა მხოლოდ ზედაპირია და მით არაა გამსჭვალული სული და გული, იგი არაა ღრმად ჩანერგილი ჩვენს არსებაში.

ქართული პრესა

გაზეთი „მერცხალი“ აღნიშნავს რუსეთის ცხოვრების გამოცოცხლებას; ამბობს, რომ ეს მუშათა საქმეა და მთავრობა შეუდგა მუშების დევნას.

მუშათა გაფიცვა—აი ის მჭრელი იარაღი, რომელიც რეაქციას სასტიკად დევნის და მის დამხობას აჩქარებს.

ამას ნათლად გრძნობენ თვით რეაქციის მესვეურები და ისინიც მუშათა ალაგმვას შეუდგენ და გაფიცვების გატეხას ლამობენ.

ჩვენში მთელი პოლიტიკის ღერძი პოლიციის დეპარტამენტის [illegible] „მშვიდობიანობისა“ და წესრიგის დაცვა—აი რა ახასიათებს ამ პოლიტიკას. სამარისებური სიჩუმე—აი რას მოითხოვენ რუსეთის ქვეშევრდომთაგან.

მუშათა კლასმა ეს პოლიტიკა ერთი დაკვრით გადალახა. გამოირკვა, რომ წელს გაფიცვაში მეტ ხალხს მიუღია მონაწილეობა, ვინემ 1906 წელში, როცა ჯერ კიდევ რევოლიუციის ცეცხლი ღვიოდა.

ცხადია, რეაქციონური სულისკვეთება გაიფანტა და საზოგადოებრივ უმოძრაობას ბოლო მოეღო. ეს რეაქციის აღსასრულის დასაწყისია. ამიტომ არის მუშათა „თავხედობა“ ქვეყნის ბატონ-პატრონთ მოთმინებას უკარგავს და მათ დამორჩილებას ლამობენ.

ამ მიზნით პეტერბურგში პოლიციის დეპარტამენტის გ. ბელევსკის თავმჯდომარეობით შედგა განსაკუთრებული თათბირი, რომელმაც საჭირო ზომები უნდა გამოიმუშაოს.

პოლიციის დეპარტამენტს ერთად-ერთი ზომა აქვს, ერთად ერთი გზა მოეპოვება. ეს არის პროფესიონალური კავშირების აღკრძალვა, მუშათა ორგანიზაციების დაფუშვა, მასში მონაწილეთა გადასახლება და საერთოთ რეპრესიების გაძლიერება.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„პეტერ. ვედომ.“-ში დაბეჭდილია სოხუმის ეპისკოპოსის ანდრიას წერილი ამ სათაურით „გალაღებული ქამი“. მოგვყავს ზოგიერთი ადგილი წერილისა ავტორის აზრების დასახასიათებლად.

„საშინელ 1905 ჲ 1906 წლებში ყველას ეშინოდა „მომავლი ქამისა“, ეშინოდათ, რომ მთელი ახალი კულტურა რუსეთისა წალეკილი იქნებოდა ამ საშინელ ვეშაპის მიერ, და ნაცვლად სიკეთის და სიწმინდის, სათნოების და ეკლესიის დიადი ტრადიციების პრინციპებისა გაიმარჯვებდა ტლანქი ძალა, რომელსაც არა სწამს რა გარდა მაძღრობისა და თავხედობისა. ამის ეშინოდათ ყველას, სწრაფად შეკავშირდნენ და შეერთებულის ძალ-ღონით თავიდან აიცდინეს ქამის საფრთხე. მაგრამ რაც ვერ მოახერხა ქამმა ერთის გზით, მას მიაღწია სხვა გზით, სხვა საშუალებით, და წმინდა ადგილზე გაბატონდა გალაღებული ქამი. მოიკალათა სხვის ბინაზე მატყუარობით ჲ გარყვნილებით. სადაც არ გამოდგა ძალა, იქ ღრმად გაიდგა ფესვები საზიზღარმა ეშმაკის სიყალბემ. გალაღებული ქამი ურცხვად უცქერის თვალებში გულუბრყვი[illegible]დებლად დასცინის, და ამ დაცინვას, უეჭველია, ბანს აძლევს წყვდიადის ჯოჯოხეთი. რუსეთი, წმინდა თავის გულუბრყვილობით და გულუბრყვილო თავის სიწმინდით, რასაკვირველია, სდუმს, მორჩილად სდუმს, ვინაიდან დიდი ხანია მიჩვეულია დუმილს“..

წერილის დასასრულ ეპისკოპოსი ანდრია ამბობს, რომ გალაღებული ქამს ადგილი უნდა დაიკავოს გამარჯვებულმა ქრისტეს ეკლესიამ, რისთვისაც მას უნდა მიენიჭოს თავისუფლებაო.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერბურგის სააგენტო).

6 ნოემბრის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს.

კვლავ შეუდგნენ შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების განხილვას ქსენძი მილაშევსკის და მემამულე შალევიჩის უკანონოდ დაპატიმრების შესახებ.

მღ. ოკოლოვიჩ მინსკის გუბერნატორის მოქმედება კანონიერად მიაჩნია. მინისტრის განმარტება მას სრულიად აკმაყოფილებს.

რაჩკოვსკი. მილაშევსკი და შალევიჩი სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრეს; მინსკის გუბერნატორის მოქმედება დასაგმობია.

დიმშა. რაჩკოვსკის მოსაზრებას ემხრობა და მინსკის გუბერნატორის საქციელს უკანონოდ სთვლის. მინისტრის განმარტება დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნია.

მცირე კამათის შემდეგ სათათბირომ მიიღო **ხვენციცკის** მორიგ საკითხზე გადასასვლელი ფორმულა. ფორმულა გუბერნატორის მოქმედებას უკანონოდ სთვლის და მინისტრის განმარტებას არა დამაკმაყოფილებლად.

რამდენიმე უმნიშვნელო საკითხის განხილვის შემდეგ სათათბიროს სხდომა დაიხურა.

შემდეგი სხდომა 9 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

სახელმწიფო საბჭო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

6 ნოემბრის სხდომა.

გოლუბევი თავმჯდომარეობს. საბჭო მუდმივ კომისიების წევრთა არჩევას შეუდგა. საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიის წევრებად აირჩიეს: ლუკიანოვი, კოვალევსკი, გრიმი, ბობრინსკი, კობილინსკი, სტიშინსკი, სტრუკოვი, ბალლოვიჩი და სხვანი, საფინანსო კომისიაში აირჩიეს: საბუროვი, შიპოვი, ვასილიევი და სხვანი. საბჭოს შედგენილობის კომისიაში: ბულიჩევი, გრიმი, მარინი, კორფი და სხვანი.

შემდეგი სხდომა 13 ნოემბრისათვის არის დანიშნული.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **საქართველოს ეგზარხოსი ალექსი** ამ ჟამად სიმფეროპოლშია, საიდანაც პირდაპირ ტფილისს გამოემგზავრა. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ სადგურ საველნიკოვოში რკინის გზის მატარებლის საგანგებო ვაგონი გაუგზავნა.

◆ **ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ დაადგინა: ტრამვაის დირექცია კიდევ დააჯარიმოს: სექტემბრის 19 დღისთვის—9,990 მანეთით, ხოლო ოქტომბრისთვის—12,922 მან. ქალაქის გამგეობამ ეს დადგენილება დაამტკიცა.

◆ **სანიტარო დათვალიერება.** ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურეებმა ა. გ. ხარაზიანმა და ე. გ. ლომიძემ გუშინ ქალაქის მესამე უბანში დაწვრილებით დაათვალიერეს თორნეები, ფურნეები, საყასბოები, რესტორანები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი და ყველგან შესაფერი განკარგულება მოახდინეს.

◆ **საბუღალტერო კურსები.** ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ნება დართო რ. ზ. რომანოვს, 1914 წლის 1 იანვრიდან ტფილისში საბუღალტერო კურსები გახსნას.

◆ **მთავარ ანგელოზის ეკლესია** (ავლაბარში), პარასკევს, 8 ნოემბერს, თავის დღესასწაულსა უქმობს. დილის 10 საათზე დაიწყება სადღესასწაულო წირვა, რომლის შემდეგაც შემოსილი სამღვდელოება ეკლესიას გარს შემოუვლის. დღესასწაულის წინა დღეს, 7 ნოემბერს, საღამოს ლოცვა დაიწყება ხუთ-ნახევარ საათზე.

◆ **მკვლელობა.** ეგრედ წოდებულ წინანაურის მიდამოებში, რომელიც ორთაჭალიდან ორის ვერსის მანძილზე მდებარეობს, გზაზე იპოვეს მოკლული ებრაელის იოსებ მარდელოვის გვამი. ებრაელი ხანჯლით მოუკლავთ. მას სხეულის სხვადასხვა ადგილას ჭრილობები აქვს. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

◆ **ტფ. სათ.-აზნ. ქართულ გიმნაზიასთან არსებულ უფ.-სთ სასადილოს გამგეობამ შემდეგი შემოწირულება მიიღო:** ტფ. სათ.-აზნ. საადგილ მამულო ბანკის გამგეობისაგან—100 მან. ნაცვლად გვირგვინისა განსვენებულის ა. ფურცელაძის კუბოს შესამკობად., ს. ტარუაშვილისაგან—3 მან. და ე. მაიზელსონისაგან—კედლის საათი. ყველა შემომწირველს გამგეობა მადლობას უძღვნის.

◆ **გადამდები სენით** შეპყრობილთა რიცხვი წარსულ ოქტომბრის განმავლობაში, ქალაქის სა[illegible] სასანიტარო ბიუროს ცნობით, 147 ყოფილა. აქედან 128 ავადმყოფი საავადმყოფოებში მოუთავსებიათ.

◆ **ქუნთრუშა.** ამ ჟამად ტფილისში ქუნთრუშა მძვინვარებს. ამის გამო ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფახოვმა განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქის ექიმებმა მოიარონ ყველა ის სახლი, სადაც ქუნთრუშით ავადმყოფი აღმოჩნდება, მიიღონ შესაფერი ღონისძიებანი და წარუდგინონ მას ყოველ კვირას ცნობები ამ ავადმყოფების მსვლელობის შესახებ.

◆ **ბაღი მოსწავლეთათვის.** მშობელთა წრეების ცენტრალურმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმმართველობის წინაშე, რათა დაუთმოს მას უფასოდ საქალაქო მიწა მოსწავლეთათვის ბაღის გასაშენებლად. ამ შუამდგომლობას 9 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სატყეო საბაღოსნო კომისია განიხილავს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება დღეისთვის არის დანიშნული. კრებამ უნდა აირჩიოს: სამღვთო სჯულის მასწავლებელი ამაღლების საქალაქო სკოლისთვის და ხელსაქმის მასწავლებელი ვაგზლის გადაღმა მხრის სკოლისთვის. ამასთანავე კომისია განიხილავს ინჟინერ ჩისლიევის მიერ შედგენილ სასკოლო შენობების პროექტს.

◆ **მეჩექმეთა შორის.** 10 ნოემბრისთვის, დილის 10 საათზე შრომის ბირჟის დარბაზში დანიშნულია მეჩექმე მუშათა საპროფესიო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც ამოირჩევს საზოგადოების გამგეობის წევრებს.

დ. ხონი.

◆ კვირას, 3 ნოემბერს, პანაშვიდი გადაიხადეს განსვენებულის საზოგადო მოღვაწის **ივანე შარაშიძის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს აუარებელი ხალხი დაესწრო, სიტყვები წარმოსთქვეს: სემინარიის დირექტორმა და სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა.

თიანეთი.

ქალის გატაცება. დუი სოფლის მცხოვრებმა ქუჩალ ბეგაშვილმა მირზა ქავთარაშვილისა, მადაი ბელაგაშვილისა და ბეთი მარგოშვილის დახმარებით გაიტაცა ამავ სოფლის მცხოვრები გასათხოვარი ქალი ვოიარა მარგოშვილი და გააუპატიურა.

სოფლად.

◆ **ტყე იწვის.** ამ რამდენიმე დღის წინად სახაზინო ტყეში, ხაშმის აგარაკში, რაღაც მიზეზით ცეცხლი გაჩნდა, რომელიც დიდს მანძილს მოედო. ტყე ახლაც იწვის. ცეცხლის გასაქრობად ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი გაიწვიეს.

ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

მოსკოვიდან: „მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული სათვისტომო გულითად მწუხარებას აცხადებს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის დაკარგვის გამო. **გამგეობა**“.

ქუთაისიდან: „ქუთაისის ქართული გიმნაზია გულწრფელად გლოვობს ძვირფას მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის დაკარგვას. **ი. ოცხელი**“.

ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

ყველას კარგად მოეხსენება, რა მოუწყობლობაა სოფლად მის შინაგან ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ბევრი დროა საჭირო, რომ სოფლის მცხოვრებმა შეიგნოს აუცილებელი მცნება სოფლის ცხოვრებისა: „იცხოვრე ისე, რომ შენი მეზობელი არ შეაწუხო და მისი ნამეშევარი არ წაუხდინო“.

იმის სამაგიეროდ, რომ ყოველი ჩვენი სოფლის მცხოვრები სამეურნეო განვითარებას ადევს, ჩვენი ყმაწვილ-კაცობა დოინჯ-შემოყრილი თავიანთ ცხვირ-წინ ბაღ-ვენახებს და სხვასაც აოხრებენ.

დღეს ისეთ დროში ვართ, რომ ვისაც სოფლად ცხოვრება უნდა, ხმალ-ამოღებულივით უნდა ტრიალებდეს, რომ თავისი ნაჭირნახულევი მეზობელს არ წაახდევინოს.

ჩვენი სოფლის ცხოვრება ძალისაა, ვისაც ძალა შესწევს, მეზობლის ხათრს არ დაგიდევს და მასთანვე ნივთიერადაც კარგადაა, მას კიდევ შეუძლიან სოფლად ცხოვრება,—ხელმოკლეს, სუსტს და ხათრიანს სოფლად არ ედგომება.

და კიდევაც არ ედგომებათ ფრონის ხეობის მცხოვრებლებს!

ფრონის ხეობა ერთი უმშვენიერესი კუთხეთაგანია ქართლისა.

სავენახე, ხეხილ-ბაღების ადგილები კი გავერანებულ-გაპარტახებულია.

აქაური ყმაწვილ-კაცობა კი დოინჯ-შემოყრილი თავს გადასცქერის და მათი შინაური პირუტყვი საქონელი შიგ დაკუნტრუშობს.

ბევრმა მოჰკიდა ხელი მამულის გაუმჯობესობას, აშენებენ სხვადასხვა ნამყენებს.

სამაგიეროდ კი ცერონისის, ავლევის, კნოლის, ოქონის და ტყისუბნის—უფრო კი თავად-აზნაურს (ერთი-ორის გარდა) საქონელი, ცხენი, ღორი გაშვებული ჰყავთ მთელი ზაფხული და შემოდგომა, მათი ნაჭირნახულევი ფეხქვეშ აქვთ მოდებული. ბაღ-ვენახებში და კუნტრუშობენ უპატრონო გაშვებულ ცხენი, ღორი და სხვა საქონელი.

გამოცხადებულია მამასახლისთან, ბოქაულთან, მაგრამ ესენიც უსიამოვნობას ერიდებიან.

ბავშვები თავიანთ სახნავ-სათეს ყარაულად უდგიან და თავად-აზნაურის უპატრონო გაშვებულს საქონელს ერეკებიან!

დედა-კაცები ხელ-აპყრობით იწყევლებიან! გლეხები კი გულ-ჩათხრობილნი იმდურებიან! ჯერ როთვე-

ბარათები ხელოვნებაზე

2.

(უცნობ მეგობარს).

ქართველ ხელოვანის ტრაგედია.

მხატვრული სინამდვილე არასოდეს ის სინამდვილე არ არის, რომელიც ყოველდღიურ სიცხადის სამოსელს ატარებს, არამედ კიდევ მეტი, რაღაც ახალი, რაიც არ არის და რაც მხატვრულმა წყურვილმა შექმნა. ამიტომ მისი ქვეყანა იდეალურია. სტიმული, რომელიც ამ იდეალურ საყოფს ტონს აძლევს, უმეტესად თვით ყოველდღიური სიცხადეა.

აი, აქ სჩანს კავშირი არსებულისა და სასურველ რეალობათა შორის, ნამდვილისა და მხატვრულ სინამდვილეს შორის; და ამიტომ ამბობენ, ხელოვანი ცხოვრების წიაღში კრეფს თვისი შემოქმედების მასალასო. ეს სიტყვები სავსებით ვერ ჰხატავს შემოქმედებითი პროცესს, რადგან მხატვრული სინამდვილე არა მარტო რეალურ ნაწილების კომბინაციაა, არამედ ქმნა არ არსებულ მთლიანობისა იდეალურ ნაწილებისაგან.

მაშ, მხატვრობა არა მარტო სინტეზია რეალურ სინამდვილეთა მხარეებისა, არამედ თვით წარმოშობაა ახალ თვისებათა და სურათთა, რომელნიც სინტეზში შედიან.

და სწორედ ამ წარმოშობაში შლის ხელოვანი თვის ბუნების აქტიურ მხარეს.

ხელოვნება რომ ცხოვრების ნაწილებისა უბრალო სინტეზი იყოს, მაშინ ამ სინტეზის დაშლაც შესაძლო გახდებოდა მის ნაწილებად.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ შეგვიძლიან დავარღვიოთ სინტეტიურ სახის მთლიანობა, შეგვიძლიან დავყოთ პირველ მის ნაწილებად, ანუ მასალებად.

გეკითხებით—მიიღებთ თუ არა მარტო სინამდვილეში არსებულ თვისებებს და ნაწილებს, თუ კიდევ რაიმე ახალს.

რა თქმა უნდა, თქვენ სწორედ ახალს იპოვით და ამ ახალის სადარს სინამდვილეში ვერა რას ჰპოებთ. თუ შემოქმედება მარტოოდენ კომბინაცია და მთლიანი წარმოდგენა სინამდვილის ნაწილებისა, მაშინ ეს მთლიანი სახე მისი უარმყოფელი, მისი ანტიტეზა არ უნდა იყოს, არამედ მისი ორგანიულ ზრდის სახე, მისი გაერთიანების სიმბოლო: იგი მისი საერთო საფუძვლის დამტკიცება უნდა იყოს და არა უარყოფა-ანტიტეზა.

მხატვრული სინამდვილე კი ყოველთვის ანტიტეზაა არსებულისა...

⁂

ამის გარდა, თუ მხატვარი მასალას მარტო სინამდვილიდან იღებს და ამ ნაწილებს ერთმანეთზე აბამს—მის გამაერთიანებელ ძალის ჩაქრობის შემდეგ, მის დანაწილების შემდეგ—ჩვენ მარტო ის ნაწილები უნდა ვიპოვოთ, რაიც სინამდვილიდან ამოუკრეფია მხატვარს. ჩვენ კი სულ ახალ, უცნობ ნაწილებს ვხედავთ ამ დარღვევის შემდეგ, რაიც მომასწავებელია იმისი, რომ შემოქმედმა თვის იდეალურ სახისათვის ვერ იპოვა საკმაო „მასალა“ ამ ქვეყნიურობაში და თვით შექმნა ახალი მხარე—სინტეზს ახალი თვისება მისცა და იგი მით იდეალად აქცია; ხოლო ამ ახალმა თვისებამ პოეტური სინამდვილე არსებულ რეალობის ანტიტეზად აქცია.

რამდენადაც მხატვარს, სასურველ სინამდვილის გამოსახვისათვის, ხშირად უხდება იმ ქვეყნიურობის მიმართვა და ახალ სახის შექმნა, იმდენად უფრო დაშორებულია მისი იდეალი არსებულ სინამდვილისაგან, იმდენად უფრო მიუწვდენელია იგი საზოგადოებრივ წინსვლისათვის, იმდენად უფრო ფანტასტიურია იგი სამეფო.

საგულისხმოა ვიცოდეთ, როდის უდგება მხატვარს ასეთი წუთები, როდის უფრო მეტის ინტენსიურობით უნდა იმუშაოს მისმა ფანტაზიამ ამ იდეალურ ქვეყნის შექმნისათვის.

⁂

ცხადია, მაშინ, როცა სინამდვილე თვისი ინერციულ ყოფის გამო იმდენად ღარიბია, რომ მასში მიმქრალი მოძრაობა ვერ ახერხებს ახალ სახის წარმოდგენას. ასეთი ეპოქის შემოქმედის ბედი, ჭეშმარიტად, ტრაგიკულია, რადგან მისი შემოქმედება ხანგრძლივი შინაგანი ტანჯვაა მრავალ ახალ თვისებათა შესაქმნელად. აქ მხატვრის შემოქმედება მოღლილი და მოქანცულია, ქმნილება მისი—ნაღვლიანი და პესიმისტური. იგი თავისუფალ ნავარდით ვერ ჰქმნის სასურველ სინამდვილის სახეს. არსებული სინამდვილე იმდენად ცარიელი, ფუქსავატი და გამოფიტულია, რომ მას ყოველ ახალ სახის ხელახალი წარმოშობა უხდება, რაიც მას აგოდენ სტანჯავს და ფანტაზიის ფრთას უკვეცს. სასურველ სინამდვილის მრავალი თვისების პოვნა ამ სინამდვილეში რომ შესძლებოდა, მაშინ მისი აქტიობა ამ პოვნილის გარეშე გაიშლებოდა კვლავ ახალის მოსაპოებლად და მხატვრული სინამდვილეც დიდის ფარგლით წარმოდინდებოდა. ამიტომაცაა, რომ ცხოვრების უმოძრაობა, მისი სიცალიერე ორის მხრის მხრით მოქმედებს მხატვრის ბუნებაზე. უწინარეს ყოვლისა იგი სიცალიერე თვით შემოქმედებაზე გადის და მასაც ისეთსავე უსულგულობისა და უმოძრაობის ხასიათს ანიჭებს, მასაც ისევე ალატაკებს და მეორეს მხრივ თვით მხატვრის ბუნებას ღალავს, მოწყენილ კილოს აძლევს და უიმედობის იერს აკრავს.

⁂

ჰომეროსის შემოქმედება ერთგვარი ნავარდია, ლაღი ფრენა და იმის გარდა, რომ მასში გაბნეულია ძვირფასი მარგალიტები, იმის გარდა, რომ იგი შეუდარებლად მდიდარია,—მასში ერთგვარი ხალისიანობაა ჩაქსოვილი, ერთგვარი დინჯი მხიარულება და ლხენა შემოქმედებისა, რომელიც შეჰფერის ჰომეროსის მდიდარ ბუნებას და კიდევ უფრო მეტად შეჰფერის ელლინთა მრავალმხრივს, მოძრაობითა და სიცოცხლით აღსავსე ყოფას. როგორც ელლინთა ცხოვრება ხალისიანი—მრავალ-ფეროვანი ცოცხალის ნაკადით მიმდინარეობდა, ისევე ცოცხალია ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეია“, რომელნიც ისტორიულ დოკუმენტებად ჩაითვლებიან, იმდენად ახლო იყვნენ ბერძენთა სინამდვილესთან.

მოკვდა წარმართობა, გაიმარჯვა ქრისტიანობამ ჲ მისმა კულტურამ, ჲ მიჰქრა ელინური ბუნებაც. წინანდელი ნეტარი ცხოვრება ტანჯვად შეიცვალა.

და მას, ვისაც სურდა კვლავ ნეტარება განეცადა, კვლავ მშვენიერების და სიამის განცდის წუთები ეხატა, ზურგი უნდა ებრუნებინა ამ ქვეყნიერობისთვისაც და ახალი სინამდვილე, უმეტესად, ფანტაზიის დაუღალავ მუშაობით შეექმნა.

დანტე ალიგიერიმ პირი იბრუნა ამ ქვეყნიურობისაგან და მისმა მდიდარმა პოეტურმა ფანტაზიამ ახალი, იმ ქვეყნიური სინამდვილე გადაუშალა მას... და ამ პოეტის შემოქმედებაში სინამდვილის წიაღიდან ამოკრეფილი, რაციონალური ცოტა იყო.

მის „ღვთაებრივ კომედიაში“ ჯოჯოხეთის წამებანი და სამოთხის უჩვეულო, უნახავი და განუცდელი ნეტარება ისახება.

ამის გამო მის შემოქმედებას ერთგვარი მელანქოლია, წმინდა სევდა თანა სდევს...

რა თქმა უნდა, დანტესათვის იმდენად მტანჯავი და სადუხჭირო არ იქმნებოდა იდეალურ ქვეყნის აღწერა, პოეტურ სინამდვილის შექმნა, რადგან იგი დანტე იყო და მისი პოეტური შემოქმედი ძალა—დაუშრეტელი...

მაგრამ მისი შემოქმედების წუთები არ შეიძლებოდა ტრაგიკული არ გამხდარიყო მისთვის, რაკი სინამდვილე სასურველ სახეებს და თვისებებს ვერ აწვდიდა.

⁂

უკვდავ „ვეფხის ტყაოსანში“ შოთას ფანტაზიამ საზღვრები არ იცის, მისი სახეები ცოცხალი და წარმტაცია, მის მიერ აწერილი ცხოვრება ჭეშმარიტი აქტიობა და მოძრაობაა. ამას ხელი შეუწყო ოქროს ეპოქამ, როცა სინამდვილე პოეტის გენიალობის მხატვრულ სინამდვილის გასაშლელად უშრეტ მასალას აწვდიდა. მაგრამ, მეორეს მხრივ, შოთას ქმნილებას, მის ფანტაზიას თან სდევს ერთი სევდიანი კილო, ტონი ნაღვლიანი გამოთქმისა.

ამის ახსნასაც იმ მოვლენაში ვპოებთ. რამდენადაც ცოცხალი იყო რაინდული სიამაყე, თავგამოდებული ლომგულობა და ვაჟკაცობა, ავთანდილ-ტარიელობა, იმდენად მკრთალი იყო არსებულ სინამდვილეში შოთას ჰუმანიურ იდეათა განხორციელების ტენდენცია. მრავალი ამ დიად იდეალებიდან დღესაც მიუწვდენელია კაცობრიობისათვის და, ეჭვი არ არის, ამ ჰუმანიურ თვისებათა მხატვრულ სახეებში და მათ მოქმედებაში გამოხატვა მარტოოდენ ავტორის ფანტაზიას უნდა ეკისრა და აქ სინამდვილე მას სასურველ სახეს ვერ მისცემდა.

შოთას გენიალობაც მით მტკიცდება, რომ მან ეს შესძლო და არ არსებულს რეალობას, მხატვრულ სინამდვილის სახე მისცა; მაგრამ ამით იგი სავსებით ვერ ასცდა ნაღვლიან კილოს და პესიმისტურ განწყობილებას, რომელიც მშვენიერისა და ლამაზის ფორმებით მიმდინარეობს მთელ პოემაში. ეს არის შოთას ბროლის ცრემლები, „ცრემლ-შეუშრობელ“ შოთასი, ჲ თქვენც გრძნობთ პოემის კითხვისას, რომ ამ სახეებს იქით თავ-დახრილი, ნაღვლიანი გენიოსი სდგას:

„მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგიან გიშრისა ღარისა“... ჭეშმარიტად, ლამაზია იგი წვიმა!..

⁂

ნათქვამიდან ის აზრი არ უნდა გამოვიტანოთ, რომ შესაძლოა ხელოვანი მხატვრულ სინამდვილის შექმნისას სავსებით დაკმაყოფილდეს რეალობით, თუ იგი რეალობა ჭეშმარიტი აქტიობაა და თვის წიაღში ყველა სასურველ სახეებს ატარებს.

ჯერ ერთი, შეუძლებელია ისეთი სინამდვილე წარმოვიდგინოთ, რომელიც ატარებდეს ყოველგვარ სასურველ ფორმას.

ასეთი ცხოვრება ფანტასტიური იქმნებოდა და არა ჭეშმარიტი სინამდვილე. და მეორე, ასეც რომ იყოს, მხატვარი, რადგან იგი უბრალო კომბინატორი არ არის, რადგან მისი შემოქმედება ხელოსნობა არ არის,—მაინც გარეშე არსებულისა კიდევ ახალ ფორმებს დაუწყებს ძიებას; რადგან მის ბუნებაში სცოცხლობს შეუმცნებელი ლტოლვა არარსებულისადმი, იდეალისადმი, ამიტომ იგი არსებულის საზღვრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი გათავებული არ არის, ხილი მოკრებია, ბაღეულობა ისევ დასაბანაკებელია, გაწუწკებული კამეჩები კი ღობეს ამტვრევენ, ახლად აყრილ ნამყენებს ლეწენ.

სავსე ვენახში დღე-ღამე კამეჩის ოდენა იორკშირის ჯიშის ღორი გალაღებულ და გასუქებულ სოფლის ქირნახულით ხრუტუნით სვლებს და ანადგურებს მსხმოიარე ვაზებს.

ჩვენი ყმაწვილ-კაცობა კი დოინჯშემოყრილი განადგურებულ ბაღვენახებს გადაჰყურებს.

ყველას წარმატების გზისკენ პირი აქვს მოქცეული, ყველას კულტურულ მუშაობისთვის მიუყვია ხელი, მხოლოდ აქაურები კი სოფლის ნამუშევარს ანადგურებენ.

ასე ცხოვრება აღარ შეიძლება!

Legatus.

კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების მოლოდინში

⁂ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების** მომწვევ კომიტეტის კრება 5 ნოემბერს მოხდა. კომიტეტმა თავის წევრთა შორის სამუშაო გაანაწილა და, სხვათა შორის, დაადგინა: 1) მოხსენებათა წინასწარი გადათვალიერება დაევალოს საგანგებო სარედაქციო ბიუროს, რომელშიაც შედიან: გ. დ. ქურული, გ. ნ. სტეფანოვი და თ-დი პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (სასტატისტიკო ბიუროს გამგე); 2) გამოიცეს კრების დროს „დღიური" და ეს საქმე დაევალოს მ. ა. ჯაბარს, 3) დაევალოს გ. ნ. სტეფანოვს შეადგინოს სეკრეტარიატი და გაიგზავნოს მის განკარგულებაში ქალაქის მოსამსახურენი ი. ა. სტაროსელსკი, კ. ა. ფირცხალაიშვილი და ქ-ნი გორნოსტაევისა, 4) დაევალოს გამგეობის წევრს მ. ნ. ათაბეგოვს სადღესასწაულო წარმოდგენის მოწყობა სახალხო სახლში კრების მონაწილეთა პატივსაცემლად და სტუმართა დახვედრა; მასვე დაევალოს საერთო გამგებლობა, 5) ხელმეორედ ტელეგრაფით ეთხოვოს მომავალ კრებაზე წარმომადგენლების გამოგზავნა იმ ქალაქებს, რომელთაც ჯერ პასუხი არ გამოუგზავნიათ და 6) ეთხოვოს ტფ. ყველა კლუბის მამასახლისებს, რათა კრების მონაწილეთ უფასოდ ოთხის დღის განმავლობაში სიარულის ნება დართონ.

⁂ კრების საზეიმო გახსნა დანიშნულია კვირას, 17 ნოემბრისთვის, დილის 11 საათზე კრების მონაწილეთა და საგანგებოდ მოწვეულ პირთა თანდასწრებით. კრების გახსნის წესრიგი კომიტეტმა ამ გვარად შეიმუშავა: კრება გაიხსნება თავმჯდომარის თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის სიტყვით. იგი კრებას მიულოცავს ტფ. ქალაქის თვითმმართველობისა და კრების მომწვევ კომიტეტის სახელით და შემდეგ აღნიშნავს კრების პროგრამასა და მის მნიშვნელობას. ამის შემდეგ აირჩევენ პრეზიდიუმს, რასაც მოჰყვება ორი პატარა მოხსენება: მ. ა. ჯაბარისა შემდეგს თემაზე: „სამუნიციპალო პრობლემები" და გ. დ. ქურულისა: „საფინანსო პოლიტიკა სახელმწიფოსი და მისი კავშირი ქალაქთა საფინანსო პოლიტიკასთან." ნაშუადღევის პირველის საათის ნახევარზე ამ დღეს პირველი კრება უნდა დასრულდეს, რადგანაც ნაშუადღევის 2 საათზე დანიშნულია ს. ქ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო საავადმყოფოს გახსნა. კურთხევაზე კრების ყველა მონაწილე გაემგზავრება ტრამვაის ვაგონებით, რომელიც საგანგებოდ იქნება დამზადებული.

⁂ კრების მომწვევმა კომიტეტმა დღემდე შემდეგი მოხსენებანი მიიღო: ა. ს. ბაზოვისა: 1) „ბინის საკითხი", 2) „ნაგავის გადაყრა", 3) „ქუჩების მოკირწყვლა და მოვლა" 4) „წყალი"; თ-დ ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა: 1) „ცხოვრების სიძვირე და კავკასიის ქალაქების მდგომარეობა სურსათ-სანოვაგის მხრით" და 2) „როგორი განათება უნდა კავკასიის ქალაქებს", მ. ნ. ათაბეგოვისა: „საკანონმდებლო მოღვაწეობა კავკასიის ქალაქებისა (სავალდებულო დადგენილებანი) და ქალაქების გამშვენიერება", თ-დ პ. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა: „სასანიტარო-სამკურნალო ნაწილის ხარჯები კავკასიის ქალაქების ბიუჯეტში", გ. ი. ალიბეგოვისა: 1) „რძის ვაჭრობა ქალაქებში", 2) „წყალით უზრუნველყოფა ქალაქებისა", და 3) „კავკასიის ქალაქების შეთანხმებული მოქმედება სურსათ-სანოვაგის ვაჭრობის მოწესრიგების საქმეში", თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა: „კავკასიის ქალაქები და ინჟენერ სტიუარტის კონცესია", გ. დ. ქურულისა: „საფინანსო პოლიტიკა სახელმწიფოსი და მისი კავშირი ქალაქთა საფინანსო პოლიტიკასთან"; მ. ა. ჯაბარისა: 1) „საფინანსო საჭიროებანი ქალაქებისა და კიევის კრების რეზოლუციები" და 2) „სამუნიციპალო პრობლემები" და ინჟენერ პ. მ. პეკარსკისა: 1) „ბინების გაჯანსაღება" და 2) „გადამდებ სენთან ბრძოლა და მისი შედეგები".

⁂ კომიტეტის მიერ გაგზავნილ მოსაწვევ ბარათის პასუხად მოსკოვის სამალიარო კომიტეტის თავმჯდომარემ პროფესორმა მარტინოვსკიმ აცნობა, კრებაზე მონაწილეობას ვერ მივიღებთ, რადგანაც შავის ზღვის მხრის მოღვაწეთა კრებაზე ვართ; ბ-ნი მარტინოვსკი კომიტეტს პირდება მოხსენების გამოგზავნას მალიარიასთან ბრძოლის შესახებ.

⁂ ჟურნალ „გოროდსკოე დელო"-ს (საქალაქო საქმე) რედაქციამ კომიტეტს აცნობა, რომ კრებაზე მის წარმომადგენლად იქნება მ. ა. ჯაბარი, რომელიც რედაქციის სახელით კრების მონაწილეებს მიულოცავს.

⁂ რადგანაც სახალხო სახლში, სადაც კრება იქნება, ვიწროობა არის მოსალოდნელი, ამიტომ რედაქციებს ბილეთების განსაზღვრული რიცხვი გაეგზავნებათ: ადგილობრივ ყოველ-დღიურ გაზეთებს—ორ-ორი ბილეთი (რედაქტორები ცალკე მიიღებენ ბილეთს), ხოლო კვირეულ გამოცემებს—თითო ბილეთი. ბილეთების მიღება შეიძლება კრების ბიუროში (ქალაქის საბჭოს კანცელარიაში, საქმის მწარმოებელი ს. ბ. იუზბაშევთან).

⁂ გუშინდლამდე კრების მონაწილედ ჩაეწერა 120 კაცი.

რადიუმის ძებნა და ჩვენი ქვეყანა

მკითხველს მოეხსენება, რომ 1899 წელს რადიუმის აღმოჩენამ მისი მომჯადოებული თვისებებით დიდი ცვლილება გამოიწვია ფიზიკურ-ქიმიურ მოვლენათა ახსნა-განმარტებაში. თუმცა აქამდისაც ვერ გამოურკვევიათ რადიუმის ენერგია, რომელიც მის სხივთა ფრქვევაში გამოიხატება, ნასროლი სხივები რომ ნაცემ საგანსაც ანიჭებს სხივოსნობას და სხვა ამისთანა საოცარი მისი თვისებანი, მაგრამ სამკურნალო მეცნიერებამ უკვე დაიწყო ამ თვისებებით სარგებლობა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. კაცობრიობის მრავალ სენთა შორის ერთი დიდად მაზარალებელი სენი კუ და მისგვარი სნეულებანია. მიუხედავად დიდის კვლევა-ძიებისა გამოჩენილ ბიოლოგთა და კლინიცისტთა მიერ, აქამდისაც არ იცის მეცნიერებამ არსებითად რა არის კუ, ქლექის შემდეგ ასე სწორედ რომ მეორე ულმობელი ჯალათია ადამიანისა. აქამდის მეცნიერებამ მხოლოდ ის იცოდა, რომ კუ უკურნებელ სენად იყო მიჩნეული, რადგან ყოველი საშუალება მის წინააღმდეგ უნაყოფოდ რჩებოდა. თურმე გერმანიაში (რუსეთში კუს სტატისტიკა ჯერ არ არის) ყოველს წელს იხოცება კუთი 50 ათასი ადამიანი და თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კუთ დასნეულებული საშუალო რიცხვით მხოლოდ ორს წელს სცოცხლობს, „გადაწყვეტით ითქმის, რომ გერმანიის მცხოვრებთა შორის ყოველთვის ასი ათასი ურევია სასიკვდილოდ განწირული კუთ ავათმყოფი"—ამბობს პრივ.-დოც. ა. პ. ბრაუნშტეინი. რასაკვირველია რუსეთის დიდი სახელმწიფოსთვის ეს რიცხვი ერთი სამად მაინც უნდა გადიდდეს. ამითი აიხსნება ის დიდი ყურადღება, რომელიც მიიპყრო იმ ცნობამ, კუს თურმე რადიუმი ჰკურნავსო. აქამდის ცნობილი იყო, რომ ის გარეგან, ე. ი. კანის კუს ჰკურნავდა, მაგრამ თუ შიგნეულობის ამგვარსავე სენს განკურნავდა—ერთი წელიწადია, რაც დამტკიცდა. როგორც გადმოგვცემს პროფესორი სნეგირიოვი, თურმე ლონდონის უკანასკნელ საექიმო კრებაზე დაამტკიცეს, რომ რადიუმი იმდენად არჩენს კუს, რომ ნაავათმყოფარი ადგილი აღარ ერჩევა საღისაგან. მართალია კუმ ხელმეორედ იცის თავის ჩენა ნარჩენ ან სხვა ალაგას, მაგრამ რადიუმს ამ ნაცერალის მორჩენაც შესძლებია. საჭიროა, განკურნების შემდეგ ხუთმა წელმა მაინც გაიაროს, რომ კუ სრულიად განკურნებულად ჩაითვალოს; ამიტომ ჯერ ვერ გადაწყვეტილა—რადიუმი სამუდამოდ ჰკურნავს ადამიანს კუსგან, თუ დროებით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მეცნიერება იმედის თვალით უცქერის და ადამიანის ჯანმრთელობის სასარგებლოდ სწყვეტს ამ საკითხს.

ამის გამო ყველა მის ძებნას შეუდგა, მაგრამ ძლიერ ძნელი საშოვნელია. სნეგირიოვის ცნობებით მთელ ქვეყნიერობაზედ რადიუმი თითო წლის განმავლობაში მხოლოდ 6 გრამი*) მუშავდება. თითო სამკურნალოსთვის საჭიროა არა ნაკლებ 360 მილიგრამისა, რომ მან შესძლოს კუთ სნეულობის წამლობა. მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რა სიძვირეს წარმოადგენს მისი რაოდენობა მთელი ქვეყნიერობის სამკურნალო მოთხოვნილებასთან შედარებით. ამითი აიხსნება რადიუმის სიძვირე. ერთ ჯირად წამლობა ჯდება 20 ათასი მანეთი. სადაც იშოვება, იქ ცდილობენ არ გაუშვან ხელიდგან და თვითვე ისარგებლონ მით. ავსტრია ყველაზედ მდიდარია რადიუმის დამუშავებით, მაგრამ მან უკვე აკრძალა მისი გარეთ გატანა. ამ ჟამად ყოველი დაწინაურებული სახელმწიფო ცდილობს, რაც შეიძლება სამყოფი შეიძინოს რადიუმი და არავითარ ხარჯს არ ერიდება. გერმანიის მთავრობას უკვე შეუძენია 300 ათასი მარკის**) რადიუმი და ამ წლის ხარჯთაღრიცხვაში 800 ათასი მარკაც შეუტანია ამავე მიზნისთვის. რუსეთში ახლახან აღიძრა საკითხი მთავრობის მიერ რადიუმის შეძენისა და მართლაც ამ ჟამად სახელმწიფო სათათბიროში უკვე შეუტანიათ კანონმდებლობითი მოსაზრება ხაზინიდან ასი ათასი მანეთის გადადების თაობაზე რადიუმისა და მეზოტორიის ადგილების აღმოსაჩენად. სათანადო სამეცნიერო წრეებში დიდი მუშაობა სწარმოებს ამ საკითხის თაობაზე. ჯერ-ჯერობით საჭიროა ფული და, თუ მთავრობის დახმარებით და კერძო შეწირულებათა მეოხებით იშოვნიან სამყოფ თანხას, დაიწყება სამეცნიერო ექსპედიციები რუსეთის სხვა და სხვა კუთხეებში რადიუმის აღმოსაჩენად.

აკადემიკოსი ვერნადსკი, როგორც მოთავე და მეთაური ამ საქმისა, უკვე იძლევა ცნობებს ზოგიერთ მხარეების შესახებ, რადგან წინასწარი მუშაობა უკვე ყოფილა. უძებნიათ რადიუმის მადნები ურალზე, ციმბირში და როგორც მოსალოდნელი იყო, კავკასიაშიაც. სამწუხაროდ ანგარიში ამ გამოკვლევისა ჯერ არ არის შედგენილი, რომელიც თურმე მომავალ 1914 წელს გამოვა და ამიტომ არ ვიცით, კავკასიის რომელ კუთხეში მოუხდენიათ გამოკვლევა რადიოაქტიურის მინერალებისა, მხოლოდ პროფ. ვერნადსკი ძლიერ უნუგეშო ცნობებს გვაძლევს ჩვენი ქვეყნის შესახებ. მისი აზრით ის ცნობებიც კი ყალბი გამომდგარა, რომელნიც კავკასიაში რადიოაქტიურ მინერალების არსებობას ღიარებდნენ: „ჩვენ ვერ ვპოვეთ კავკასიაში ვერც ერთი რადიოაქტიური მინერალიო"—ამბობს აკად. ვერნადსკი, თუმცა უმატებს, რომ იქ მუშაობა ვერ დავამთავრეთო. ჩვენი ქვეყნის ბედი ჯერ-ჯერობით ეს არის: აქ არც ერთი მუშაობა არა მთავრდება ჩვენ სასარგებლოდ. მკვლევართა ყურადღება მიმართულია ურალისა, ბაიკალისა და ფერგანისაკენ. ამ უკანასკნელზე დიდ იმედებს ამყარებს ვერნადსკი. ნეტავი იქ მაინც სამყოფი აღმოჩნდეს „ძვირფასი" სამკურნალო განძი და ჩვენც დაკმაყოფილებული დავრჩებით. მხოლოდ მე ჯერ იმ მცირედ ცნობას ვაუწყებ პატივცემულ პროფესორს, რომ წარსულს წელს ჩემის თანდასწრებით ფარმაციის მაგისტრმა კუნცისმა ჩემგან მიტანილ ორ ბოთლ **ახტალის** სამკურნალო ტალახში **რადიოაქტიური** ძალა აღმოაჩინა. რაოდენობა ამ ძალისა სხვა პირობებში უნდა გამოკვლეულიყო, მაგრამ უპატრონობის და უსახსრობის გამო ჯერ აღარ მომხდარა ამ ტალახის გამოკვლევა. მერე რამდენია ამისთანა სამკურნალო მინერალები ჩვენს ქვეყანაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მათშიც იქნება იგივე ძალა, მაგრამ ისინიც ისევე უცნობნი არიან და ჯერ კიდევ დიდ ხანს დარჩებიან. რასაკვირველია, რადიოაქტიური ძალის აღმოჩენა არ კმარა, საჭიროა რადიუმი აღმოჩნდეს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ამ [illegible] ლოს მისი მშობელი ძალაც რომ უნდა ვეძებოთ. ამ გვარად ჩვენს ქვეყანაში საკუთარის ძალით და საშუალებით არის საჭირო კვლევა და ძიება ამ „სანატრელი" განძისა. ვინ იკისრებს ამ ფრიად საგულისხმიერო საქმეს, ეხლა ძნელი სათქმელია. მხოლოდ რომ საჭიროა ამ საქმის გაწევა. დავასაბუთებ იმავე ვერნადსკის სიტყვებით: „ყოველი სახელმწიფოსთვის ან ყოველი საზოგადოებისთვის ძლიერ სანატრელია ის, თუ რა საშუალებით, ვისი მეოხებით, რანაირად და როდის იქნება შესწავლილი და გამოყენებული მათ სამფლობელოში არსებული რადიუმის სხვიოსანი ენერგია, რადგან ვისაც მისი დიდი სალარო აღმოაჩნდება, მას ისეთი ძლევამოსილება შეეძინება, რომლის წინაშე ქედს მოიხრის მიწის, კაპიტალის და ოქროს მფლობელთა ძალაც".

ექ. დიმ. ჯავახიშვილი.

---

*) გრამი ფრანგული წონის ზომაა, უდრის დაახლოვებით მისხლის მეხუთედს.

**) მარკა უდრის 47 კაპ.

წკიპურტები

მშობელმა ვინმემ თელავისა ქალაქისა მცხოვრებმა ყრმა ნორჩი შვილი თვისი მიიყვანა სასწავლებელში გასაწვრთნელად და დასაწაფებლად ცხოვრებისა სიბრძნესა.

და ჰკითხა მასწავლებელს:

— არის თუ სწავლებულ ამა სასწავლებელში ენა ქართული გასაცდენად და სარყვნელად ქართველთა მოწაფეთა?

და მიუგო მასწავლებელმა ნაღველ მორეულმა:

— ენა ქართული არის დიდა ენა ჩვენი და საფუძველი ყოვლისა განათლებისა. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს"...

— არა! მოუჭრა სიტყვა მშობელმა: არა საწადელ არს შვილისათვის ჩემისა ენა ქართული და ვეჯმნი სასწავლებლისაგან, სადაც ასწავლიან ქართულს.

და გაცხარებული მშობელი მყის გავარდა გარედ.

ჩვენ.

რუსეთი

65 მუხლი

ახლო მომავალში სინოდის ობერპროკურორი საბლერი წაიკითხავს მოხსენებას მე-65 მუხლის შესახებ; იგი განმარტავს, თუ როგორ უნდა იყოს ეს მუხლი განხორციელებული ცხოვრებაში. გაზეთების სიტყვით, მოხსენების დიდა აზრი შემდეგია: ყველა საკითხი, რომელიც ექვემდებარება უწმიდესს სინოდს, სამ კატეგორიად იყოფა: 1) დოგმატიური, კანონიური და საეკლესიო-საეპარქიო საკითხი. ამ დარგში სინოდი სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებს, მთავრობას არ ემორჩილება. 2) ეკლესიის შინაური საქმეების მოწესრიგების საკითხი. ამ შემთხვევაში სინოდი სხვისდა დამოუკიდებლად გადასცემს საკითხებს უმაღლეს მთავრობას დასამტკიცებლად. ამ კატეგორიაში შედის ეკლესიის საადმინისტრაციო და საკანონმდებლო საკითხები, სასულიერო სასწავლებელთა და სასულიერო—სამეურნეო წესდებანი და პროგრამები. მესამე კატეგორიაში შედის ისეთი საკითხები, რომელნიც ერთნაირად ეხება როგორც საეკლესიო ისე სახელმწიფო საკითხებსაც. ასეთი საკითხებია: განქორწინების რეფორმა, სასულიერო სასწავლებელთა შტატები და საეკლესიო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ხაზინიდან ფულის გაცემა.

ცვლილებანი სამინისტროში.

ამ ბოლო დროს ხმები გავრცელდა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კოკოვცევი თანამდებობას თავს ანებებსო. უკვე ასახელებენ პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს; მათ შორის იხსენიებენ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს კრივოშეინს, სახელმწიფო საბჭოს წევრს დურნოვოს, სტატს-სეკრეტარს გორემიკინს და შინაგან საქმეთა მინისტრს მაკლაკოვს. ამ ხმების თაობაზე სახელმწიფო საბჭოს ერთმა გავლენიანმა წევრმა სთქვა: კოკოვცევის წასვლის შესახებ დიდიხანია რაც ლაპარაკობენ. დურნოვოს კანდიდატურა შესაძლებლად არ მიაჩნია, რადგანაც მან ამ ცოტა ხანში თვალის ოპერაცია გადაიტანა და მხედველობა ხელს შეუშლის პრემიერის თანამდებობის შესრულებაში. გორემიკინი ხნიანობის გამო შეუფერებელია. კრივოშეინი თვითვე ამბობს უარს პირველ მინისტრობაზე. დარჩა მაკლაკოვის კანდიდატურა, რაიც სასურველიც არის და შესაძლებელიც. თუ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მაკლაკოვი იქნება დანიშნული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ [illegible] მიმართულება შეიცვლება: ყველასათვის ცხადია ის უთანხმოებანი, რომელიც კოკოვცევსა და მაკლაკოვის შორის ხდებოდაო.

ხარკოვის ექიმთა საზოგადოების დახურვა.

რამდენიმე დღის წინად ხარკოვის ადმინისტრაციამ ხარკოვის ექიმთა საზოგადოება დახურა. ამ საზოგადოებას დიდი გავლენა და პატივისცემა ჰქონდა მოპოებული მცხოვრებთა შორის. დიდი ხანია რაც ეს საზოგადოება არსებობდა ხარკოვში; მან დაარსა მრავალი საკულტურო და სამკურნალო დაწესებულება. ეხლა ერთი ხელის მოსმით ისპობა ის მრავალმნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმე, რასაც რამდენიმე თობამ შეალია თვისი შრომა და ძალა. ადმინისტრაცია მიზეზად წესდების დარღვევას ასახელებს. ექიმთა საზოგადოება შუამდგომლობს ხარკოვის ადმინისტრაციას დადგენილება გააუქმონ და ამ სიმპატიურ დაწესებულების შეწყვეტილი მუშაობა აღდგენილ იქნას.

კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე?

პასუხად ბ. კორდელს

(შემდეგი *)

მკითხველს შეუძლიან იფიქროს: გეგმა დიაღაც კარგია, მაგრამ ვნახოთ შიგ მოთავსებული მასალაც შესაფერიაო. ეს მოსალოდნელია მით უმეტეს, რომ თვით ბ. კორდელსაც არ მოსწონს მასალა, მეტადრე პირველ ორ განყოფილებაში მოთავსებული, რომელიც შეეხება სკოლას და ოჯახს.

გავეცნოთ მასალასაც.

ულმობელი რეცენზენტი ბძანებას მასალის შესახებ: „ერთი არ ურევია ისეთი, რომელიც გასაგები იყოს „ინოროდეც" მოწაფისათვის. ისინი „ვერ ვითარ სალ სულიერ განცდას ვერ მოიპოვებენ" და სხ. ასეთი გადაჭრილი მტკიცება ბ. კორდელისა გვაიძულებს ჩვენ აღვნიშნოთ სათითაოდ ამ ორ განყოფილებაში მოთავსებული მასალა. მტყუნს ტყვილის კარებამდეო, ნათქვამია. მაშ როგორ დავუმტკიცოთ ბ. კორდელს, რომ ცრუობს. ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე, რომ სიტყვა გრძელდება. რა ვქნათ, საკითხი მეტად სერიოზულია: იგი მარტო ჩვენი სახელმძღვანელოს მოწონება-დაწუნებით არ განისაზღვრება; იგი ეხება ჩვენი სკოლის მეტად მწვავე მხარეს და მაშასადამე რაც მეტად

---

* იხ. „სახ. გაზ." № 1036

გარდალახავს და მას ახალს მიუმატებს, რომ მისი ანტიტეზა შექმნას. ეს მოვლენა, სხვათა შორის იმითიც იხსნება, რომ ხელოვანის ბუნებაში მომწყვდეულია პოტენციალური, საიდუმლო ძალა ინტუიციისა, რომელიც თვის მეღავნებას აქტიობაში ეძიებს და ამ აქტიობისათვის ახალ ასპარეზს პოულობს იდეალურ ქვეყნის დაყოფის შექმნაში, ამ ქვეყნიურობის იმ ქვეყნიურობასთან დაკავშირებაში, მათ კონტრასტის აღმოჩენაში.

ასეთ შემთხვევებში, როცა არსებული სინამდვილე თავის მდიდარ და მრავალფეროვანის სახით იდეალურად ხელს უწყობს შემოქმედ ფანტაზიის ზრდას და ახალ ქვეყნის მხატვრულად განხორციელებას, პოეტის შემოქმედება მზისებრ ხალისიანი და ნათელია, მან ცრიატობა და მოდუშვა არ იცის.

მის აქტიურობას სისუსტისაგან ძალდატანება არ ეხნევია, მოძრაობა და სიცოცხლე პოეზიაში აშკარაა და სულიერი სილაღე გარდაშლილი...

თუ დღეის შემოქმედებას ამ სახით გავსინჯავთ, მასში ვერ ვპოვებთ ასეთ ახიურობას და ხალისიან დასაწყისს. წინააღმდეგ, დღევანდელი ხელოვანნი, უმეტესად, სტირიან და გოდებენ და მათ შემოქმედებასაც ნაღვლიანი იერი აკრავს, ტრაგიკული პოზა „ამშვენებს".

ეს სევდიანი მოტივი დღეის მწერლობისა სწორედ სინამდვილის სიცალიერით და დღევანდელის უმოძრაობით აიხსნება.

დღეის მწერლის ყოფა ტრაგიკულია იმდენად, რამდენადაც იგი ვერ მიიღებს ამ ქვეყნიურობას თვისის უსულობით და ზურგს შეაქცევს მას. მხატვარი იტანჯება, რომ დუხჭირი სინამდვილე ვერაფერს, ან თითქმის ვერაფერს, აწვდის მის ფანტაზიას...

ასეთია ქართული ხელოვნება დღეს და, განსაკუთრებით, ასეთია მისი სიტყვა კაზმულ მწერლობის სახე. დღეის პოეტი ორგანიულად ვერ დაჰკავშირებია ჩვენს ცხოვრებას, რადგან მასში ვერ უპოვნია მხატვრულ სინამდვილისათვის შესაფერი მასალა და იგიც ჩვენს გარეშეა, ჩვენი ცხოვრების საზღვრებს იქეთ და თვის ფანტაზიით ჰქმნის ახალ ცხოვრებას. ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრება მოდუნებულა, მისი სული მიმქრალა, არსად სჩანს მთლიანი სახის მოძრაობა...

ჩვენი ყოფა სავსებით უაქტიო და ინერციულია, ჩვენ დროის ყრუ და მახინჯი მონები ვართ, რომელნიც უხმოდ ვატარებთ ბორკილებს ცხოვრების მოჯადოებულ წრეში. თითქოს არც ერთი ნათელი ჰორიზონტი არა სჩნდეს ჩვენს წინ. ეს ხანა, ჭეშმარიტად, რაღაც არაჩვეულებრივი, გარდამჭრელ მომენტის მომასწავებელია.

* * *

წინ რაღაც მოგველის და ამ რაღაცამ უნდა საუკუნოდ გადასწყვიტოს ჩვენი ბედი. მაშ ჩვენ დღეს „ყოფნა-არ ყოფნის" კითხვის წინ ვდგევართ და ეს დრო თავისთავად უაქტო, გარეგნულად უმოძრაო, როგორც ანალიზის ეპოქა. იგი ახალ აქტიურ ეპოქისათვის გვამზადებს, რომელმაც ან განსაკუთრებული, თავისუფალი ადგილი უნდა მიგვიჩინოს ისტორიის გზაზე, ან სულ ერთიან გაგვაქროს. დღეს ჩვენ არ ვმოქმედებთ, არამედ ჩაფიქრებულნი ვართ და შოთას მაღალ აზროვან აფორიზმს ვითვისებთ:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი"...

ხანგრძლივმა სოციალურმა და პოლიტიკურმა სიდუხჭირემ, კულტურულმა ჩამორჩენამ იმდენად დაგვაუძლურა, რომ კინაღამ სიცოცხლის წყურვილიც კი წაგვართვა.

ჩვენი სახე საშინლად დასახიჩრდა და მისი ნიშანდობლივი ხაზებიც თითქოს ერთიანად წაიშალა. მხატვარს, რომელსაც სულიერი წყურვილი ჰკლავს ქართულ სახის და ცხოვრების სასურველ სინტეზის შექმნისა, ამ მხატვარს ჩვენი ყოველდღიური სინამდვილე თითქმის ვერარას აძლევს. ჩვენი ცხოვრების უმოძრაობაში იგი ვერ პოულობს ახალ სახეს და გულ-დამწვარი პირს გვარიდებს. ჩვენი ხანა გარდამავალია და, არსებითად, უმოქმედო; ხელოვანი კი მოძრავ, მოქმედ სახეს ეძიებს შემოქმედებისათვის.

მისი ქმნილება თვის მასალას და წყაროს მარტოოდენ ფანტაზიის საზღვრებში პოულობს და ამის გამო რაღაც სუსტის, დაუმთავრებელის და დასნეულებულის შთაბეჭდილებას ახდენს იგი ქმნილება. ჩვენ არ მოგვეპოება შოთასებური ბუმბერაზული ნიჭი, რომელიც შესძლებდა სავსებით უარეყო და არ მიეღო არსებული სინამდვილე და ფანტაზიის ძალით მაინც ცოცხალი და ყოვლად სრული შემოქმედება წარმოეშვა.

დღეის სუსტმა მგოსნებმა ეს ვერ შესძლეს; ჩვენი სიცოცხლის სიცალიერე მათ პოეზიაში სავსებით შეიქრა და იგი თვისი არარაობით დაასნეულა. მარტოოდენ ფანტაზია ვერ ამუშავდა იმდენად ინტენსიურად, რომ მხატვრული სინამდვილე იდეალურის სახით გაეშალა, ჩვენც წარვეტაცეთ და სიცოცხლის წყურვილი აემოძრავებინა ჩვენში. მათ შემოქმედი ძალა და აქტიობა ამ მხატვრულ სამეფოდან რეალურში ვერ გადმოიტანეს, და არც ეს შემოქმედება ეკარება ჩვენს გულს.

* * *

აღნიშნულ მიზეზების გამო, დღეის მწერლობას უძლურებასთან ერთად პესიმისტური და ტრაგიკული იერიც თან სდევს. მაგრამ ერთი რამ, სამაგიეროდ, ფრიად ძლიერია დღეის ქართულ პოეზიაში. შეიძლება მას საერთო, ფილოსოფიური სიღრმე და ზოგადი საზრიანობა აკლდეს ამ პოეზიის გადმოცემით, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი მეტად ცოცხალი და ლამაზია.

ეს არის ბუნება, რომელსაც ჩვენი მგოსნები აღწერენ. მართალია, ამას ხელს უწყობს ჩვენი მშობელი ქვეყნის მშვენიერი არე-მარე და ხალისიანი მზე, მაგრამ მხოლოდ ასეთი თვისებითაც არ აიხსნება ჩვენი დროის მწერლების ეს მხარე.

ხელოვანის პოტენციალური შემოქმედი ძალა გარდმოშლას თხოულობს, თვისი შინა აქტიობის მხილება სწყურიან; და რაკი ასეთ აქტიობის საფუძველი მან ჩვენს უმოძრაო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერ ჰპოვა*), მას ზურგი უქცევია და ჩვენს მდიდარ, ცოცხალ ბუნებას მიაპყრო თვალი. აი, აქ დაინახა მან მოძრაობა და მუდმივი განახლება, ახალი სახეები; და ის სიცოცხლე, რომელიც ჩვენს მიძინებულ სულში ვერ დაჰპადა, მან ბუნებაზე გადაიტანა და მომხიბლავის სურათებით, მსუბუქისა და წარმტაცის ენით აალაპარაკა იგი. ჩვენს პოეზიას თითქმის არ ახსოვს, რომ როდისმე ასე ცოცხლად ემეტყველებულიყო მასში ბუნება, და აქ გაიშალა სწორედ მხატვრის პოტენციალური აქტიობა; ეს დღეს მისი ახალი ჰორიზონტია, სანამ ჩვენი ცხოვრება სდუმს...

ქ. დორპატი. **აკაკი პაპავა.**

---

*) თითო ოროლა აქ მხედველობაში მისაღები არაა.

გამუქდება ეს საკითხი, მით უკეთესია.

პირველი განყოფილება—„სასწავლებელში“—შეიცავს შემდეგ 11 მოთხრობა ლექსს:

1. „კვლავ სასწავლებელში“, მოთხრობა ამიჩისა. აქ აღწერილია სწავლის განახლება: მამა უამბობს შვილს, სასწავლებელში წასასვლელად გამზადებულს, როგორ ეწაფება სწავლას დღეს ყოველი ადამიანი.

ამ მოთხრობის დედა-აზრი: ყოველი ადამიანი უნდა ელტვოდეს სწავლას—ნუ თუ „გაჟღენთილია რუსული სულით“ ან „შლის მოწაფის სულში ყველაფერ წმინდას, კარგს“?

ჩვენ მიერ ამ მოთხრობის ბოლოს დართულია დამატებითი კითხვები: მოიგონეთ პირველი ჲღე თქვენი სკოლაში წასვლისა. შეადარეთ ქალაქის და სოფლის ცხოვრება, ცხოვრება განათლებულის და გაუნათლებელი ადამიანისა—ხელს უწყობენ მოწაფეს დედა-აზრის გამორკვევა შეთვისებაში.

2. მოწაფეები, ორლოვსკისა. მოთხრობილია ის ტანჯვა-წვალება, რომელსაც განიცდიან სოფლის პატარა ბავშვები, მეტადრე ზამთრობით, როდესაც იძულებულნი არიან იარონ 2—3 ვერსის მანძილზე მახლობელ სოფლის სკოლაში. ამ მოთხრობაში დახატული სურათი არ არის უცხო იმ ჩვენი სოფლის ბავშვებისათვის, რომელნიც ხშირად ასეთსავე გაჭირვებას განიცდიან. ერთად-ერთი სიტყვა (ვერ გავარჩიეთ) უთ გვაგონებს, რომ ეს მოთხრობა რუსის ბავშვის ცხოვრებიდან არის აღებული. დაგვერწმუნეთ, ბ. კორდელო, რომ დედა-აზრი ამ მოთხრობისა: სოფლელი მოწაფე ქალაქელ მოწაფესთან შედარებით მეტს გაჭირვებას განიცდის — არაფერს „გაუგებარს“ არ წარმოადგენს ჩვენი ბავშვებისათვის.

3. უკანასკნელი დღე ოჯახში, პასეკისა. ამ მოთხრობაში შესანიშნავის სინამდვილით არის გადმოცემული სულიერი მდგომარეობა ბავშვისა, რომელსაც აშორებენ მშობლებს და მიჰყავთ უცხო ადგილს სასწავლებლად. აქ დასახელებული ქალაქი მოსკოვი და აგრეთვე ის რომ, „წასვლის წინად ერთი წამით ყველა ჩამოჯდა სკამზე და გაჩუმდაო, თუ გიჩვენებს, რომ მოთხრობა რუსების ცხოვრებიდან არის აღებული, მაგრამ ეს სიტყვები როდი შეადგენენ მოთხრობის კვანძს ამ სიტყვებს მოთხრობის კითხვის დროს შეუძლიანთ სრულიად შეუმჩნევლად ჩაიარონ. და მართლაც, რომ გამოსტოვოთ ეს სიტყვები, მოთხრობას იოტის ოდენაც არაფერი დაკლდება. მაგრამ, ვსთქვათ, რომ უცხო ცხოვრებიდგან არის ეს მოთხრობა აღებული, ჩვენ ბოლოში ვაძლევთ მოწაფეს კითხვას: მოიგონეთ თქვენი პირველი წასვლა ოჯახიდან სხვა მხარეს სასწავლებლად. ეს კითხვა ათავისიანებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ მოთხრობას. დედა-აზრი ამ მოთხრობისა: მწვავეა დედმამის მოშორება პირველად—განა „უცხოა“ ჩვენი ბავშვებისათვის? რომელ ჩვენგანს არ განუცდია სიმწვავე ასეთი დაშორებისა?

4. ილიუშა ობლომოვის სწავლა, მოთხრ. გონჩაროვისა,—თუმცა აღებულია რუსის ცხოვრებიდგან, მაგრამ ობლომოვი ხომ ის უკვდავი საზოგადო ტიპია, რომლის მსგავსი დღესაც ბევრია ჩვენში. ესეც არ იყოს, ამ მოთხრობას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან მასწავლებელი უეჭველია მისცემს მოწაფეს ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს: შეეძლო ილიუშა ობლომოვს ამ პირობებში ესწავლა რამე? ვინ იყო ამაში დამნაშავე? მოგწონთ უქვენ ასეთი სწავლა? რატომ არა?

სურათი დამახინჯებულ აღზრდისა,—რომელიც შეადგენს ამ მოთხრობის დედა-აზრს, ნუთუ რაიმე „საფრთხეს“ უქადის ჩვენ ბავშვს? პირიქით, ჩვენის აზრით, ცხოვრების ზოგიერთ უარყოფითი მხარის გაცნობა ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას.

5. ბებია და შვილიშვილი,—ლექსი პლეშჩეევისა—იმდენად ნაცნობი სურათია ქალაქელ ბავშვის ცხოვრებიდგან აღებული, ისე მარტივად არის დახატული, როგორ სწყურიან პატარა ბავშვს სწავლა, რომ მოწაფე დიდის ხალისით სწავლობს ამ ლექსს. განსაკუთრებით რუსული ხასიათი რომ ამ ლექსს სრულიად არა აქვს, ეს იქიდანაცა ჩანს, რომ წ. კ. ს. გამგეობის იმ სექციამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „რუსსკოე სლოვოს“ გადათვალიერება და ახალი გამოცემა ამ წიგნის მეორე ნაწილისა, საჭიროდ სცნა ამ ლექსის ნაწილის შეტანა ახალ გამოცემაში.

შემდეგი ოთხი მოთხრობა:

6. როგორ მიაბარეს სკოლაში „პატარა“—დიმიტრიევისა.

7. სწავლაში ბეჯითი, ოჯახში მუყაითი.

8. სურვილი იყოს, თორემ სწავლას ვერაფერი დაუშლის და

10) პირველი ნაბიჯი—

ყველა ეს ამოღებულია სოფლის ცხოვრებიდან. ოთხივე სურათი სრულიადაც არ არის უცხო ჩვენი სოფლის სკოლის მოწაფეთათვის. ის შემთხვევები, როდესაც მოწაფე ოჯახის საქმეების გამო იგვიანებს სკოლაში, ან სრულიადა სცდება გაკვეთილებს, ხშირია ჩვენი მოწაფეების ცხოვრებაშიაც, მეტადრე სოფლად, მაშასადამე, მისთანა მოთხრობები უცხო არ არის ჩვენი ბავშვებისათვის. და თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საუცხოვო მაგალითებია აღწერილი ბავშვის ბეჯითობისა სწავლაში,—ამ მოთხრობებსაც პირდაპირ აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ. ხოლო ისეთი კითხვები, როგორიც დართული აქვს, მაგალ., მერვე მოთხრობას: მოგწონთ თუ არა ობოლი ძმები? რითი მოგწონთ? ადვილი იყო იმათთვის სწავლა? ყველა ისე მოიქცეოდა, როგორც ისინი იქცეოდნენ სწავლის მისაღებად? რამ შეუწყო ხელი ბავშვებს წერა-კითხვის სწავლაში? მარტო წერა-კითხვის შესწავლა შეიძლება, კაცმა რომ, გულით მოინდომოს, თუ სხვა რამისაც? ამ რიგ კითხვების წყალობით, ვიძეორებთ, მოთხრობებს ეკარგებათ ბავშვებისათვის უცხო ელემენტი (თუ ასეთი რამ მოიპოვება აღნიშნულ მოთხრობებში), დედა აზრისათვის უმნიშვნელო, ხოლო მოწაფეთა ავ ვისებს იძას, რაც ხელს უწყობს გონების განვითარებას.

ამ მოთხრობებში გატარებული დედა-აზრები: „გონიერი ბავშვი სწავლაშიაც ბეჯითია, სახლშიდაც მუყაითი; ბეჯით ბავშვს ვერც ობლობა, ვერც სიღარიბე ვერ დაუხშობს სწავლის წყურვილს, თუ გული გულობს, სწავლას ვერაფერი ვერ შეაფერხებს“, სულზედ ხელი დაიფარეთ და სთქვით, ბ. კორდელო: „ჩვენი მოწაფის სულში წამლიან ყველაფერს ფოთოლსა და კოკორს ამ „იაუნერგავენ უცხო თესლს მის გადასაგვარებელ საწამლავს?“ აი სადამდის შეუძლიან მოიყვანოს ადამიანი წინდაწინ აკვიატებულმა აზრმა.

9. მოიპარა, გრინჩენკოსი. აი მოკლე შინაარსი ამ საგულისხმო მოთხრობისა:

სკოლაში ბავშვს საუზმე მოჰპარეს. გუმანი მეორეზედ მიიტანეს. ამხანაგებმა ასტეხეს ალიაქოთი, მოსთხოვეს მასწავლებელს ქურდის პოვნა და გამორიცხვა. ქურდი გამოტყდა, მაგრამ იქვე გამოირკვა, რომ ეს ქურდი—ბავშვი მთელი დღეები მშიერ-მწყურვალია. ამხანაგებს გული აუჩუყდებათ, გამევებაზედ აღარავინა ფიქრობს, პირიქით, ყველა ცდილობს გაუზიაროს მას თავისი საუზმე. აქ აღნიშნული შემთხვევა, ამავე ან სხვა სახით, ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ეროვნების და ყველა ჯურის სასწავლებელში. დედა-აზრი ამ მოთხრობისა: ნაადრევი გაკიცხვა ადამიანისა საქმის გაურჩევლად—ხშირად უსამართლოა, გვიბრძანეთ, რა „გადასაგვარებელ საწამლავს ჩააწვეთს ჩვენი ბავშვის სულში“? ამ მოთხრობის დედა-აზრს, როგორცა ვხედავთ, აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთ დიდებისათვისაც.

და უკანასკნელი № 11, „ხვალ“ ლექსი პლეშჩევისა. აქ მოთხრობილია სულიერი მდგომარეობა პატარა ბავშვისა, რომელიც დასვეს ფანჯრის წინ და უბრძანეს გაკვეთილის სწავლა. დედა სადღაც წავიდა, იქვე მჯდომ მოდარაჯე გადიას ჩაეძინა. საუცხოვო სურათი, რომელიც იშლებოდა მის თვალწინ: ტყე, ველი, მინდორი, აგრეთვე ტოლ-ამხანაგები—ყველა ეს სრულიად იპყრობს ბავშვის გონებას, იგი სტოვებს წიგნს, ფეხ-აკრებით გადის გარედ, გაიყოლიებს თავის მეგობარ ცუგიას და მიეშურება ტოლ-ამხანაგებისაკენ ამ სიტყვებით: „ხვალე ვისწავლი“-ო. განა ამ შინაარსის ლექსი უცხო და გაუგებარი იქნება ჩვენი ბავშვებისთვის, ვინც გინდა იყვეს?

ამ ნაირად, როგორც მკითხველი ხედავს, არც ერთი ამ განყოფილებაში მოთავსებული მოთხრობა თუ ლექსი ოდნავადაც არ არის „გაჟღენთილი რუსული სულით“, ყველა ადვილად გასაგებია და პირიქით „ბავშვს უნერგავენ ყველაფერ კარგს და წმინდას“, აფაქიზებენ მისს გრძნობას და უნვითარებენ ჭკუა-გონებას.

იაკ. ზედგინიძე და **ვ. ჯაფარიძე.**

(შემდეგი იქნება)

თეატრი და ხელოვნება

დავ. კლდიაშვილის საღამო გაიმართება ქართულ თეატრში, სამშაბათს, 12 ნოემბერს. პირველ განყოფილებაში ქუთაისური ლექტორი **ალ. ჯანელიძე** წაიკითხავს ლექციას: „ეროვნული შემოქმედება“. მეორე განყოფილებაში საკუთარ ნაწარმოებიდან წაიკითხავენ: დ. კლდიაშვილი, ჯ. ჯორჯიკია და ი. გრიშაშვილი. ახალგაზრდა მომღერალი დ. აკოფაშვილი იმღერებს ქართულ რომანსებს. დასასრულ ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: დავით კლდიაშვილისავე ერთ მოქმედებიანი სურათი: „დარისპანის გასაჭირი“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

7 ნოემბერი.

უცხოეთი.

ბერლინი. საფრანგეთის ფინანსისტთა ორი წარმომადგენელი ჩამოვიდა. მათ მოლაპარაკება გამართეს საქსონიის გერმანელთა ბანკთან მცირე აზიის რკინის გზების შესახებ. მოლაპარაკება მალე დასრულდება. ამის გამო თათბირი გაიმართა ციმერმანსა და საფრანგეთის ელჩის კამბონის შორის.

სოფია. გენერალმა სავოვმა გამოაქვეყნა წერილი; ამ წერილში სავოვი ამბობს: ბულგარეთის უბედურების მიზეზთა გამოსაქვეყნებლად საჭირო იქნება სახელმწიფო საიდუმლოთა გამჟღავნება. სავოვი ურჩევს ბალკანეთის ერთ კინლამობას თავი დაანებონ და შეუდგნენ ეროვნულ ძალთა აღდგენას; ბულგარეთის ვარსკვლავი ჯერ არ ჩასვენებულა, ეროვნულ იდეალის სიკვდილი შეუძლებელია.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაცია. გარეშე საქმეთა კომისიაში გრ. ბერტჰოლდმა სიტყვა წარმოსთქვა: ჩვენ მოწმენი გავხდით იმისა, რომ მუსულმანთა ძველმა სახელმწიფომ ვერ გაუძლო ბალკანელ სახელმწიფოთა ლტოლვილებას თავისუფლებისადმი. ჩვენმა მონარქიამ გარეშე საქმეთა პოლიტიკაში აღიარა უკვე აქსიომად ცნობილი ჭეშმარიტება: დაიცვას მეგობრული ურთიერთობა ოსმალეთთან და ამავე დროს ხელი არ შეუშალოს ბალკანელ სახელმწიფოთა ბრძოლას თავისუფლების მოპოვებაში. მართლა, არა ვბორკავდით ახალგაზრდა სახელმწიფოთა მისწრაფებას, მათ ბრძოლაში არ ვერეოდით, თუმცა მოვითხოვდით გამორკვეულ ერთგვარ ომის დასრულების შემდეგ ჩვენი მოთხოვნილების პატივისცემას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მოთხოვნილებანი არ სცილდება ჩვენს კანონიერ ინტერესთა ფარგლებს. მიუხედავად ამისა, ამ გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ბალკანეთში, ისევე სხვა სახელმწიფოებშიაც. აღძრა შიში ევროპის მშვიდობიანობის დარღვევისა. ამის გამო ლონდონის კაბინეტმა მოიწვია სახელმწიფოების ელჩთა კონფერენცია, სადაც სადაო საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო. ჩვენ დავთანხმდით მონაწილეობა მიგვეღო, მხოლოდ შემდეგის პირობით: ალბანეთისთვის ავტონომია მიეცათ და სერბიისთვის მიეცათ ადრიატიის ზღვისკენ გასავალი საკომერციო მიზნისთვის. ჩვენ ინტერესის დასაცავად საჭიროდ ვცანით საომარი მომზადება. ამის გასამართლებლად ისიც კმარა, რომ ჩვენს საზღვრებზე მთელი თავისი ძლევა-მოსილებით იდგა ჯარი შეიარაღებულ სახელმწიფოთა; ამის გარდა ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პირველ შემთხვევისთანავე მათ მხარს დაუჭერდა ევროპის ძლიერ სახელმწიფოთა ჯგუფი. აგრეთვე უნდა გვეზრუნა ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვართა გასამაგრებლად. მაგრამ ორივე მონარქიის იმპერატორთა წყალობით საომარი საშიშროება ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარზე შეჩერებული იქმნა.

ალბანეთის ჩრდილო საზღვართა გამიჯვნის საკითხში ელჩთა თათბირი კომპრომისის გზას დაადგა: დიაკოვის ნაცვლად ალბანეთის ავტონომიის საზღვრებში ელჩთა თათბირმა სკუტარი მოაქცია. ჩერნოგორელებმა და სერბიელებმა სკუტარის საკითხში დიდი სიკერპე და ჯიუტობა გამოიჩინეს, რამაც ევროპის სახელმწიფონი აიძულა თავისი ძალისთვის მიემართნათ. ეს ამბავი ჩვენ მოთხოვნილებათა სამართლიანობას და კანონიერებას ამტკიცებს. ბალკანეთის ერთა მეორე ომმა დიდი შიში აღძრა ევროპის მშვიდობიანობის დარღვევის საქმეში; მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო იყო. ავსტრია-ჰუნგრეთის და რუსეთის მეცადინეობით, აგრეთვე რუმინიის დიპლომატიის დახმარებით, შეძლება მოგვეცა ეს საფრთხე თავიდან აგვეცილებინა. ბერტჰოლდმა აღნიშნა, რომ მთელი კრიზისის განმავლობაში ავსტრია-ჰუნგრეთის და რუსეთის ურთიერთობას თავაზიანი და კეთილ-განწყობილების ხასიათი არ დაუკარგავსო. კრიზისის განვლის შემდეგ ეს თანხმობა უფრო განმტკიცდაო.

ბერტჰოლდს საჭიროდ მიაჩნია ავსტრია-ჰუნგრეთისა და ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის განმტკიცდეს მეგობრული კავშირი; იგი იმედს გამოსთქვამს, რომ ბალკანეთის ნახევარ კუნძულის რუქის შეცვლით საძირკველი ჩაეყრება სახელმწიფოთა მშვიდობიან ურთიერთობის განმტკიცებას.

ბერლინი. კოკოვცევი ებაასა გაზეთ „ბერლინერ-ტაგებლატის“ რედაქტორს რუსეთის საშინაო პოლიტიკის შესახებ. რუსეთში საეკონომიო ინტერესები ჰჩრდილავენ საპოლიტიკო ინტერესებს. რუსეთის კეთილდღეობა ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ. არ არის რევოლიუციისადმი მისწრაფება, არც თუ საამისო მიზეზები; შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში რევოლუცია არ მოხდება. რუსეთი ჯერ არ არის მომზადებული დიად საპოლიტიკო-საკანონმდებლო საკითხებისათვის. მე ვცდილობ რუსეთში სამართლიანი დაწესებულება დავამყარო, რათა ყოველი ადამიანი რუსეთის სახელმწიფოში თავის უზრუნველყოფილად ჰგრძნობდეს. უზარმაზარ რუსეთის მართვა-გამგეობა გაცილებით ძნელია, ვიდრე სხვა სახელმწიფოსი. დღეს რუსეთისთვის საჭიროა შეიქმნეს კარგი საადმინისტრაციო აპარატი და არა, ეგრედწოდებული, პოლიტიკური კანონები. საგარეო პოლიტიკისა შესახებ კოკოვცევმა სთქვა: საჭიროა ოსმალეთი ვაიძულოთ მიიღოს სომხეთის რეფორმის პროექტიო.

სტამბოლი. პროგრესის და გაერთიანების კომიტეტი სცდილობს ფრაკიაში მაკედონელი მუსულმანნი დაასახლოს, კომიტეტს აზრად აქვს ევროპის ოსმალეთში შეჰქმნას მუსულმანთა ძლიერი ელემენტი. ამის გამო ყოველ ღონეს იღებენ ფრაკიიდან ქრისტიანი მცხოვრებნი აჰყარონ.

ბერლინი. კოკოვცევმა მიიღო „ნეიე-ფრეიე-პრესსეს“ კორესპონდენტი. კოკოვცევი საგარეო პოლიტიკის თაობაზე ებაასა კორესპონდენტს და კერძოდ ავსტრია-ჰუნგრეთს და რუსეთის ურთიერთობის თაობაზე.

ბერლინი. კოკოვცევმა მიიღო რუსეთის პრესის წარმომადგენელნი; წარმომადგენელთა შორის იყვნენ „გოლოს მოსკვის“, „რუსკია ვედომ“. „რან. უტროს“, „რუს. სლოვოს“, „რეჩის“ და სხვათა კორესპოდენტები. კოკოვცევმა სიამოვნება გამოსთქვა, რომ უცხო მხარეს შეძლება მიეცა სამშობლოს პრესის წარმომადგენლებთან ბაასისა. კოკოვცევმა შემდეგი სიტყვებით მიჰმართა კორესპონდენტს: „კრიტიკა გაგვიწიეთ რამდენიცა გსურთ, გარნა ამ კრიტიკაში იყავით სამართლიანნი და მიუკერძოებლად. აღნიშნეთ მხოლოდ ნამდვილი ფაქტები. კოკოვცევმა დაწვრილებით მოუთხრო კორესპონდენტებს თვისი მოგზაურობა რომსა, პარიზსა და ბერლინში; მოუთხრო აგრეთვე ისიც, თუ რა და რა საკითხზე რაგვარი განმარტება მისცა; ილაპარაკა საგარეო პოლიტიკაზე და ბოლოს აღნიშნა, რომ სათათბიროს და მთავრობის განხეთხილება მის არყოფნის დროს დასრულდა: ამას გამო კოკოვცევი სიამოვნებას გამოსთქვამს. მთავრობისა და სათათბიროს შეთანხმებული მოქმედება, არის ერთად ერთი ღონისძიება მშობლიურ კანონმდებლობის განსავითარებლად.

ვაშინგტონი. მექსიკაში ამბოხება ვრცელდება, ტამპიკოსა და ვიქტორიის შორის განადგურებულია რკინის გზები და ნავსადგურები.

რუსეთი.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრს წარუდგა მონღოლეთის დელეგაცია. დელეგაციამ მადლობა გადაუხადა განახლებულ მონღოლეთის სახელით მეგობრულ განწყობილებისათვის.

შეკითხვათა კომისიამ უარჰყო მემარჯვენეთა შეკითხვა პეტერბურგის ოლქის ნაფიც ვექილთა საქმის თაობაზე.

პეტერბურგი. „დენ“-ის რედაქტორს ბეილისის საქმის გამო წერილის დაბეჭდვისათვის ორი თვის ციხე მიუსაჯეს.

რიგა. გაიფიცნენ ნავთ-სადგურის მუშები, რიცხვით 750 კაცი.

სპორტი

ოთხშაბათს, 6 ნოემბერს, ძმ. ესიკოვსკების ცირკში გაიმართა ცნობილი მოჭიდავის კოსტა მაისურაძის ბენეფისი. საღამოს პროგრამა შედგენილი იყო მოხდენილად, ჩვეულებრივ საცირკო ნომრების შემდეგ ასპარეზზედ გამოვიდა მობენეფისე, რომელსაც დამსწრე ხალხი ტაშის კვრით შეხვდა. კ. მაისურაძემ ჯერ აჩვენა დამსწრეთ თავისი ჯანის სისადე და ძალის მოუდრეკელობა, შიშველა თავზედ გადადუნა უშველებელი რკინა, ასევე მოიქმედა კბილებზედაც. შემდეგ გულზედ დაადეს გრდემლი და ზედ ორმა მჭედელმა გახურებული რკინა გაჭედეს. ბოლოს კ. მაისურაძემ შიშველა მხრებზე შეიდო რელსი, რომელსაც აქედ-იქით ათ-ათი კაცი დააწვა და ისე გადალუნეს. ბოლოს მაისურაძე ეჭიდავა ოსმალურის ჭიდაობით სალი სულეიმანს, და ფრანგულად ნეპანიკს. ორივე წააქცია. მისი ჭიდაობის შემდეგ კიდევ სამმა წყვილმა იჭიდავა. ხალხი ფალავანის ბენეფისს აღტაცებული დაესწრო და საჩუქრებიც მიუძღვნეს.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ემმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ჭუმბურიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერხემლისა.
ზ. ი. ბაზანასთვი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მუშნინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეჟიტიაშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ვ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.
ა დ. მურვანიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. სალამონიკით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეჟიტიაშვილი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მეცნიერებისა
1064 ექიმი ბ. ა. ნავასარდიანი.

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასია“ სასტუმრო იყო, გაიღო
სარაჯიშვილი ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია. ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

სტუდენტი ფილოლოგი
გამოცდილი რეპეტიტორი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის.
პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. წერილობით მისამართი: პრიუტის ქ. № 8, ბინა 1, სტუდენტს. 1582

აბანოები თავ. ორბელიანისა:
„ცინის აბანო“
სრულიად შეაკეთეს და მოაწყვეს; ვანები, საჯდომები და კედლები მოზაიკით მორთეს. ქალების საერთო დიდი აბანო გაიხსნება პარასკევს, 8 ნოემბრიდან. 791

მივიღეთ ცივადი-მატარებლით
პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძმელოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის წითელი ხიზილალა |კეტოვი|
სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით ჭ ხმელი სოკო. 1500

ალტაცებისათვის იშვიათი შემთხვევა!



ჩვენი ნივთების დანახვით გაოცდებით როდესაც გაიგებთ, თუ რა იაფი ფასები დავაწესეთ მათზე, როდესაც დარწმუნდებით ჩვენი საქონლის კეთილ ღირსებაში,
მხოლოდ 4 მ და 95 კ.
ვგზავნით შემდეგს ძვირფას და სასარგებლო ნივთების გარნიტურს:
1. მშვენიერ ჯიბის საათს, ნამდვილი შავი ფოლადისას, ახალ მოდურს, ძლიერ თხელს, მოსართავი თავში აქვს და მორთვა სპირია ყოველ 40 საათის განმავლობაში ერთხელ, ნამდვილი ანკერი, მუშაობს ქვებით, ან და ქალებისათვის ცილინდ., წუთამდე შემოწმებული, უეჭველად სწორი მუშაობა, პასუხის-გება ექვსი წლის განმავლობაში. 2. კოხტა და მოდური ძეწკვი ორფად ნამდვილი „დუბლე“-ს ლითონიდან, საუკეთესო შნოისა, 3. ძლიერ საინტერესო ბრელოკს, 4. საათისთვის ზამშის ბუდეს, 5. საზღვარ-გარეთულ საფულეს ტყავისას, ექვსი განყოფილებით და მექანიკური გასაღებით, კოხტა პარიზის ხელობისას, 6. რეზინის შტემპელს, რომელზედაც აწერება გვარი, სახელი და მამის სახელი შემკვეთელისა 7. საღებავის დასადებს ჭურჭლისაგან, 8. სათეატრო ბინოკლს, საუცხოვო ნახელავს, ოთხი აქრომატიულ შუშით, რომელიც ძლიერ ადიდებს შორეულს საგანებს, 9. სტერეოსკოპს—ც ოცხილ სანახაობას, რომელიც აჩვენებს ნახატებს ბუნებრივად, 10. ამისათვის ექვს ფრიად საინტერესო სურათს, 11. კეკლუც საჩუქარს ქალებისათვის, რომელსაც შეადგენს ბეჭედი ოქროსაგან, ფრანგული ბრილიანტით, ასეთსავე ბროშკას და ახალმოდურ ფას ორის წყვილ საყურეებს, 12. საზინაო სტამბას, რომელიც შესდგება რეზინის 129 ასოდან და ციფრიდან, საჭიროა ყოველ ხანში თვითმბეჭდაობისათვის, 13. ნიკელის ჯიბის საწერელს, ძლიერ ადვილს ჯიბით სატარებლად, 14. ჯიბის სატუალეტო ნესესერს ოთხი საინტერესო და საჭირო ნივთით, 15. უკანასკნელი ახალი ამბავი: კოლვერი, სამუდამო ჯიბის ასანთით, 16. საინტერესო ჯადოსნურ წიგნს, რომელიც შეიცავს, 100-მდე ახალ-ახალს საინტერესო ფოკუსს: მთელი გარნიტურის ფასი 4 მან. 95 კაპ., 2 გარნი ტურისა კი—9 მან. 30 კაპ. ასეთივე გარნიტური საუკეთესო ხარისხის ნივთებით, უმაღლესი ღირსებისას 5 მან. და 70 კაპ., 2 გარნიტური კი—10 მ. 80 კ., თითო გარნიტურა დახურულ საათით ღირს 1 მ. უფრო ძვირი.
ვურჩევთ საუკეთესო ხარისხოვანის გამოწერას, რადგან ფასში ძლიერ მცირე განსხვავებაა, ღირსებისა კი ფრიად დიდია. ვგზავნით ფასდადებით და უბეოდ. გადასაგზავნი ხარჯი 45 კაპ., (ციმბირში 80 კაპ.).
ადრესი: „Т—во „Патентъ“, Варшава, Св. Креста, отд. 127.
Метцль. 64512 1583

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„ბ ა მ ც ე მ ი“
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.